ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5518569

ნომერი: AR1835809

თარიღი : 05.07.2021

გაცემის თარიღი : 26.07.2021

გაცნობის თარიღი : 27.07.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 58 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა უშანგი ჩხეიძის , N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაკურ მირიანაშვილი პ/ნ 01018002018
- თბილისი ს.ჯანაშიას ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 5 ივლისს AR1835809 განცხადებით მომართა ბაკურ მირიანაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2012 წლის 28 ივნისის №235801 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 28 ივნისის №235801 ბრძანებით შეთანხმებულად ჩაითვალა ქ. თბილისი, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №17-ში ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 1 ივლისს შეთანხმებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებული გეგმა. ამასთან, აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართულ მიწის ნაკვეთის საზღვრების გეგმაზე დატანილ იქნა საზოგადოებრივი სერვიტუტი (168.0 კვ.მ.).
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2012 წლის 28 ივნისის №235801 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას სერვიტუტის გაუქმების მიზნით.
საჯარო რეესტრის საკადასტრო გეგმის (განცხადების რეგისტრაციის: №882009208404, მომზადების თარიღი: 17.07.09 წ.) თანახმად, სამსახურის 2012 წლის 28 ივნისის №235801 ბრძანების გამოცემამდეც საკადასტრო გეგმაზე ფიქსირდებოდა სერვიტუტი. განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2012 წლის 28 ივნისის №235801 ბრძანებით განხორციელდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებული გეგმის შეთანხმება.
დღევანდელი მდგომარეობით მოქმედი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების თანახმად, სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს არქიტექტურული პროცესების მართვა – დადგენილი წესით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა.
ამასთან, განგიმარტავთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება დადგენილი მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების თაობაზე სამსახურის პოზიციის მომზადება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებაზე მსჯელობა აღარ წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებას, ამასთან, განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს სერვიტუტის გაუქმება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2012 წლის 28 ივნისის №235801 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან ან ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.